პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры
и спорта при Совете Министров Грузинской ССР и
Грузинского республиканского Совета профсоюзов

№ 21 (383) პარასკევი, 25 ნოემბერი, 1949 წ. ფასი 30 კაპ.

პირნათლად შევასრულოთ ფიზიკური კულტურის განვითარების გეგმა

საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები შეუნელებლად იბრძვიან საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის გასული წლის დეკემბრის დადგენილების შესრულებისათვის. ეს ისტორიული დოკუმენტი, რომელიც ერთხელ კიდევ თვალნათლივ ადასტურებს პარტიისა და მთავრობის უდიდეს მზრუნველობასა და ყურადღებას მშრომელთა ფართო მასების ფიზიკური აღზრდისადმი, სპორტულ ორგანიზაციათა სამოქმედო პროგრამად მოგვევლინა. ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ დადგენილებაში დასახულ ღონისძიებათა განხორციელებამ ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივ განვითარებას ჩვენს ქვეყანაში ახალი მძლავრი ბიძგი მისცა.

ამ ხნის განმავლობაში საქართველოში დიდი მუშაობა ჩატარდა. ორგანიზაციულად განმტკიცდნენ ძირეული კოლექტივები, ამაღლდა სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობის ხარისხი, მრავლად მომზადდა მათ ნიშნოსნები და თანრიგოსნები, გაიზარდა სპორტსმენთა ოსტატობა, ჩამოყალიბდა ბევრი ახალი ფიზკულტურული კოლექტივი.

1948 წლის დეკემბრის დადგენილებამ დიდად შეუწყო ხელი სპორტულ ორგანიზაციებს ფიზიკური კულტურის განვითარების მიმდინარე წლის გეგმის შესრულებაში. თავდადებული, ენერგიული მუშაობის მაგალითებს იძლევიან თბილისისა და ქუთაისის საქალაქო, აჭარის ასსრ, ქუთაისის, მახარაძის, საგარეჯოს, ტყიბულისა და სხვა რაიონული ფიზკულტურული ორგანიზაციები. აქ გეგმების შესრულებისადმი საქმიანი, სერიოზული დამოკიდებულების შედეგად წლიურ დავალებათა რეალიზაციას თითქმის არაფერი უკლია.

ახალ წლამდე ერთი თვე და ხუთი დღე დარჩა. ეს მოკლე დრო რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ. ეს პირველ რიგში ისეთ რაიონებს ეხება, რომლებიც ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მიმდინარე წლის გეგმის შესრულებას. ამ მხრივ სავსებით არანორმალური მდგომარეობაა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. მარტო ის ფაქტი, რომ 1 ივლისიდან 1 ოქტომბრამდე (ე. ი. სამი თვის მანძილზე) ოლქში ფიზკულტურელთა რიცხვმა 6.000 კაცით იკლო, მეტყველებს ადგილობრივი ორგანიზაციების სრულ უპასუხისმგებლობასა და უმოქმედობაზე. ოლქში არ სრულდება ახალი კოლექტივების ჩამოყალიბების, ფიზიკურ კულტურაში მშრომელთა მასების ჩაბმის, მათ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმები. სანახევროდ არც კი აქვთ რეალიზებული გეგმა ადიგენისა და ახმეტის რაიონებში. ყოველდღიური ინტენსიური მუშაობის გაუჩაღებლად საეჭვოა, რომ აქ ერთი თვის მანძილზე ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენის გამოსწორება შეძლონ.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების ვალია პირნათლად შეასრულონ ფიზიკური კულტურის განვითარების 1949 წლის გეგმა. უდაოა, რომ ისინი ამ ამოცანას წარმატებით გადაწყვეტენ. განსაკუთრებული დაძაბული მუშაობა პირველ რიგში ჩამორჩენილ ორგანიზაციებს მართებთ. საჭიროა შეიგნონ, რომ გეგმის შესრულება უპირველესად მათვე მოუტანს სარგებლობას.

ახალ წლამდე ცოტა დროა დარჩენილი. საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები ახალ წელს მუდამ ახალი გამარჯვებებით ხვდებიან. ეს კარგი ტრადიცია მათ კვლავაც მტკიცედ უნდა გაატარონ ცხოვრებაში.

პირნათლად შევასრულოთ ფიზიკური კულტურის განვითარების 1949 წლის გეგმა!

სახალხო დღესასწაული

20 ნოემბერს ჩვენმა ქვეყანამ დიდი ზეიმით აღნიშნა ღირსშესანიშნავი თარიღი—საბჭოთა არტილერიის დღე.

საქართველოს მშრომლებმა საზეიმო ვითარებაში ჩაატარეს სტალინური არტილერიის დღე. წინადღით ოფიცრის საოლქო სახლში შედგა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი საყოველთაო სახალხო დღესასწაულისადმი. სხდომის მონაწილეებმა დიდი აღმავლობითა და აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება დიდ სტალინისადმი.

დღესასწაულის აღსანიშნავად ოფიცრის სახლში გაიხსნა რუსული არტილერიის ისტორიისა და დიდ სამამულო ომში გმირი საბჭოთა არტილერისტების როლისადმი მიძღვნილი გამოფენა. საბჭოთა არტილერისტებისადმი მიძღვნილი გამოფენა მოეწყო აგრეთვე საქართველოს მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში შედგა სახალხო სეირნობა. ქალაქის სტადიონებსა და ფიზკულტურულ მოედნებზე ჩატარდა მრავალი სპორტული შეჯიბრება.

საღამოს დედაქალაქში გაისმა საზეიმო საარტილერიო სალუტი. ღამის წყვდიადი განათდა შუშხუნების ნაირფერი სხივებით. ათასობით თბილისელი გამოვიდა ქუჩებსა და მოედნებზე მომხიბვლელი სანახაობის საყურებლად.

შრომასა და სპორტში

ქ. ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის კომკავშირელი ზეინკალი გიორგი ჩიქვილაძე მოწინავე სტახანოველია. იგი თვიდან თვემდე გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს. გ. ჩიქვილაძე თავდადებულ სტახანოვურ შრომასთან ერთად დიდი გატაცებით მეცადინეობს სპორტში. მან წელს წყალში ხტომაში ქალაქის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. სურათზე: (ზევით) გ. ჩიქვილაძე არემონტებს საბურღ ჩარხს; (ქვევით) ასრულებს „მერცხალას“ ხუთი მეტრის სიმაღლის კოშკიდან.

ფოტო ს. ილინისა

რეკორდები—სამშობლოს!

23 ნოემბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სტაიერები ფ. ვანინი (მოსკოვი), ვ. გორდიენკო, ი. პუნკო (ლენინგრადი) და ახალგაზრდა მძლეოსანი, საქართველოს ფიზკულტურის ტექნიკუმის სტუდენტი ვ. კონიაშვილი მონაწილეობდნენ 25 კილომეტრზე რბენაში.

ფ. ვანინმა მთელი მანძილი გაიარა თანაზომიერად, უჩვენა დრო 1 საათი, 20 წუთი, 43,8 წამი, რაც ახალი საკავშირო რეკორდია.

როგორც მარათონელთა მწვრთნელმა პ. ნიკიფოროვმა გვაცნობა, ვანინის შედეგი უფრო მაღალი იქნებოდა, რომ შეჯიბრების დასაწყისში გორდიენკოს ფეხის დაზიანების გამო არ დაეტოვებინა სარბენი ბილიკი. შეჯიბრებიდან ლიდერის გამოსვლამ მეტად შეანელა ბრძოლის პათოსი და უეჭველად უარყოფითი გავლენა იქონია შედეგზე, განსაკუთრებით უკანასკნელი 5 კილომეტრის გარბენისას, რომელიც ვანინმა შედარებით ცუდად დაჰფარა, ვიდრე ეს გრაფიკით იყო გაანგარიშებული.

• • •

უკანასკნელ დრომდე საქართველოს რეკორდები 20 და 25 კილომეტრზე არ იყო აღნუსხული, ამიტომ ვ. კონიაშვილის მიერ ნაჩვენები დრო (შესაბამისად 1;17:53,8 და 1;48:36,8) ჩათვლილი იქნება როგორც რესპუბლიკური მიღწევა.

• • •

ლენინგრადში საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა შტანგისტების ჩემპიონატში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა მძიმე წონის კატეგორიისათვის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. მალცევმა (სიმფეროპოლი). მარცხენა ხელით მან აჰკრა შტანგა, რომელიც 114 კილოგრამსა და 100 გრამს იწონიდა. მალცევის ეს შედეგი 600 გრამით აღემატება მისივე მსოფლიო რეკორდს.

წერილი ჩეხოსლოვაკიიდან

23 ნოემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა ჩეხოსლოვაკიის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო სამმართველოსაგან შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო:

„ჩეხოსლოვაკიის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო სამმართველო მადლობას გიძღვნით ჩვენი მოჭიდავეების მიწვევისა და მათი გულთბილი მიღებისათვის.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩეხოსლოვაკელი სპორტსმენების თქვენს სამშობლოში სტუმრობამ ხელი შეუწყო არა მარტო ჩვენი ქვეყნების ფიზკულტურელთა დაახლოვებას, არამედ მან უფრო მეტად განამტკიცა და გააღრმავა საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის ხალხების მეგობრული თანამშრომლობა მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლისა და ახალი საზოგადოების შექმნის საქმეში“.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

მასობრივი შეჯიბრება

ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში ამას წინათ დამთავრებულმა გუნდურმა საჭადრაკო ტურნირმა პროფკავშირთა პირველობაზე ცხადჰყო, თუ რამდენ მასობრივი გახდა ჭადრაკი დემოკრატიულ ჩეხოსლოვაკიაში.

ქარხნებსა და ფაბრიკებში, სხვადასხვა დაწესებულებაში ჩატარებული წინასწარი შერჩევითი შეჯიბრებების შემდეგ ტურნირში მონაწილეობა მიიღო 200 გუნდმა. ფინალში ერთმანეთს 12 უძლიერესი კოლექტივი შეხვდა, სადაც გამარჯვება (10 მოგებითა და 1 ყაიმით) პრაღის საფინანსო-სააღრიცხვო მუშაკთა კოლექტივს ხვდა წილად.

ჭადრაკის დაფასთან

ტირანაში ჩატარდა ალბანეთის საჭადრაკო ჩემპიონატი სადაც პირველობას ერთმანეთს 10 კაცი ეცილებოდა. საინტერესო და შინაარსიანი ბრძოლების შედეგად პირველი ადგილი და ალბანეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა კარსანიმ (ტირანა), რომელმაც 6,5 ქულა მოაგროვა.

საჭიდაო ხალიჩაზე

პრაღაში ერთმანეთს შეხვდნენ რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოჭიდავეთა გუნდები. საერთაშორისო მატჩმა პრაღელების დიდი ინტერესი გამოიწვია. საჭიდაო ხალიჩაზე მწვავე ბრძოლების შედეგად გამარჯვება სტუმრებმა მოიპოვეს ანგარიშით 5:3.

საქართველოს პირველობა ტანვარჯიშში

20-21-22 ნოემბერს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში ჩატარდა საქართველოს 1949 წლის პირად-გუნდური პირველობა ტანვარჯიშში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „დინამოს“, „მეცნიერების“, „ბოლშევიკის“, „სპარტაკის“, „მედიკის“ და სხვა საზოგადოებათა 150-მდე ტანმოვარჯიშე.

მონაწილენი გაყოფილი იყვნენ სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფში შედიოდნენ თბილისის პირველი და მეორე, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარისა და ფოთის გუნდები; მეორე ჯგუფში—გორის, ცხაკაიას და ზუგდიდის რაიონების წარმომადგენლები; მესამეში — ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოების ნაკრები კოლექტივები.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ჯგუფში გაიმარჯვა თბილისის პირველმა ნაკრებმა (1.963,8 ქულა), მეორე ადგილზე გამოვიდა ქუთაისის ნაკრები (1.187,07 ქულა). მესამე ადგილი დარჩა აჭარის ნაკრებ გუნდს (718,46 ქულა). მეორე ჯგუფში ყველას აჯობეს გორელმა სპორტსმენებმა. ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა ნაკრებ გუნდებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა „დინამოს“ ტანმოვარჯიშეთა კოლექტივი, მეორეზე — „მეცნიერება“, მესამეზე — „ბოლშევიკი“.

პირად პირველობაზე შეჯიბრება ოსტატებისათვის ორი სავალდებულო პროგრამით ჩატარდა: 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატის სავალდებულო პროგრამას ასრულებდა ყველა სპორტის ოსტატი, დანარჩენი ტანმოვარჯიშენი კი მონაწილეობდნენ 1949 წლის ოსტატთა კლასიფიკაციის პროგრამით.

საქართველოს 1949 წლის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მამაკაცთა შორის მოიპოვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა დინამოელმა ნ. თაყაიშვილმა (თბილისი), რომელმაც 113,45 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა „მედიკის“ ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე ვ. ჯაიანი (107,95 ქულა), მესამეზე—„მეცნიერების“ ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე ვ. ასათიანი (106,50 ქულა).

ქალთა შორის საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი 114,90 ქულით გახდა თბილისელი სპორტის ოსტატი ც. მაჭარაშვილი („მეცნიერება“), მეორე ადგილზე გამოვიდა ამავე საზოგადოების წარმომადგენელი სპორტის ოსტატი დ. ცხითათრიშვილი (114,80 ქულა), მესამეზე—დინამოელი თ. ქოიავა (111,45 ქულა).

ცხარე ბრძოლები გაიმართა ცალკეულ იარაღზე საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისათვის. ღერძზე ვარჯიშში გაიმარჯვა ვ. ასათიანმა—19,95 ქულა, ორძელზე — ვ. ჯაიანმა—18.60 ქულა. ბჯენით ხტომებში—რ. შარაბიძემ—19,0 ქულა, რგოლებზე (19,2) თავისუფალ ვარჯიშში (18,7) და ტაიჭზე (19,2)—სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. თაყაიშვილმა.

ქალებიდან ღერძზე ვარჯიშში საქართველოს ჩემპიონის სახელი მოიპოვა სპორტის ოსტატმა ე. გაგოშიძემ (19,4), რგოლებზე—სპორტის ოსტატმა მ. ჯუღელმა (19,55), ძელზე ვარჯიშში — სპორტის ოსტატმა დ. ციხითათრიშვილმა (19,5), თავისუფალ ვარჯიშში — სპორტის ოსტატმა თ. კობოსნიძემ (19,25), ორძელზე — ც. მაჭარაშვილმა (19,75), ბჯენით ხტომებში—მ. ჯუღელმა (19,6).

პირველთანრიგოსანთა შორის გამარჯვება მოიპოვა სპორტსაზოგადოება „მედიკის“ წარმომადგენელმა ვ. დაბაღიანმა; ქალთა შორის—ნ. კანტაკუზინამ („მეცნიერება“). მეორე თანრიგში მამაკაცებიდან პირველ ადგილზე გამოვიდა ბათუმელი უ. კილტავა, ქალებიდან — ქუთაისელი ე. კალმახელიძე. მესამე თანრიგში გაიმარჯვეს ზუგდიდელებმა — მამაკაცთა შორის მ. ცირკავამ, ქალებიდან—ლ. კიტიამ.

სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულეს ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეებმა ვ. ჯაიანმა ვ. ასათიანმა, ბ. ალფაიძემ, ვ. გურსკიმ; ქალებიდან—მ. ჩიჟიკოვამ და ნ. ლურსმანიშვილმა.

კარგად იმუშავა მსაჯთა კოლეგიამ რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის ამხ. ვ. შავდიას მეთაურობით.

დ. გულისაშვილი

დამთავრდა სსრ კავშირის XVII საჭადრაკო პირველობის ფინალი

მოსკოვი. (ჩვენი კორ.). ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოჭადრაკეთა ბრძოლა სსრ კავშირის 1949 წლის ჩემპიონის საპატიო წოდებისათვის.

უკანასკნელი ტურის წინ პირველ ადგილზე გასვლის შანსებს ინარჩუნებდა ტურნირის 6 მონაწილე. ამიტომ მათ თამაშს, განსაკუთრებით გელერის, სმისლოვისა და ბრონშტეინის პარტიებს დასკვნით ტურში, რომელიც 19 ნოემბერს შედგა, მღელვარებით ადევნებდა თვალყურს მრავალრიცხოვანი მაყურებელი.

ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი ოსტატი გელერი ამ დღეს ეთამაშებოდა ოსტატ ხოლმოვს. მოგების შემთხვევაში იგი პირველ ადგილზე გადიოდა. შეხვედრა მეტად დაძაბულ ვითარებაში ჩატარდა. ხოლმოვმა, რომელიც შავებით თამაშობდა, მალე ხელთ იგდო ინიციატივა და მოიგო პარტია.

ვ. სმისლოვი

დ. ბრონშტეინი

გელერის დამარცხების შემდეგ ჩემპიონის წოდების მოპოვების შანსები მიეცათ სმისლოვსა და ბრონშტეინს. სმისლოვ-ლილიენტალისა და ბრონშტეინ-კოპილოვის პარტიები ამ დღეს დაუმთავრებელი დარჩა, ისინი გადაიდო სმისლოვისა და ბრონშტეინის უპირატესობით. პეტროსიანმა მოუგო ლიუბლინსკის, ხოლო ლევენფიშმა — სოკოლსკის. კერეს-ფლორის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

დაუმთავრებელი პარტიები გათამაშდა 20 ნოემბერს. ბრონშტეინმა დამარცხა კოპილოვი, ხოლო სმისლოვმა — ლილიენტალი. ამრიგად, ბრონშტეინმა და სმისლოვმა მოაგროვეს 13-13 ქულა და გაიყვეს პირველი ორი ადგილი. პირველობის გათამაშების დებულების თანახმად სსრ კავშირის ჩემპიონის გამოსარკვევად გამარჯვებულთა შორის ჩატარდება მატჩი ექვსი პარტიისაგან.

ფურმანმა მოუგო ბოლესლავსკის, ტაიმანოვმა — გოლდბერგს, არონინმა — კოტოვს, მიკენასმა — რაგოზინს.

სატურნირო ცხრილში საბოლოოდ ადგილები განაწილდა შემდეგნაირად:

I და II — ბრონშტეინი და სმისლოვი (13-13 ქულა); III და IV — გელერი და ტაიმანოვი (12½-12½ ქულა); V, VI და VII — ბოლესლავსკი, კოტოვი და ფურმანი (11½-11½ ქულა); VIII — კერესი (11 ქულა); IX და X — არონინი და ხოლმოვი (10-10 ქულა); XI — ფლორი (9 ქულა); XII — სოკოლსკი (8½ ქულა) XIII, XIV და XV — კოპილოვი, ლილიენტალი და მიკენასი (8-8 ქულა); XVI — პეტროსიანი (7½ ქულა); XVII — რაგოზინი (6½ ქულა); XVIII, XIX და XX — გოლდბერგი, ლევენფიში და ლიუბლინსკი (6-6 ქულა).

ტურნირში გამარჯვებული დიდოსტატები ვ. სმისლოვი და დ. ბრონშტეინი ღირსეულად ითვლებიან უძლიერეს საბჭოთა მოჭადრაკეებად. მათ დამსახურებულად მიაღწიეს ასეთ დიდ წარმატებას. სმისლოვმა ტურნირის დაწყებიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა და მეხუთე ტურის შემდეგ უკვე 4½ ქულა ჰქონდა. მართალია, სმისლოვი მეექვსე და მერვე ტურებში დამარცხდა, მაგრამ დიდოსტატმა უკანასკნელი 11 პარტია წაუგებლად ჩაატარა. სულ სხვა გზით მიაღწია წარმატებას ბრონშტეინმა. იგი თავიდან ძალიან ფრთხილად თამაშობდა, მაგრამ მეხუთე ტურში მაინც დამარცხდა სმისლოვთან. 11 ტურის შემდეგ მას მხოლოდ 6 ქულა ჰქონდა, სამაგიეროდ დარჩენილი 8 პარტიიდან ბრონშტეინმა 7 ქულა შეაგროვა.

საერთოდ, ჩემპიონატი აღინიშნა ნიჭიერი ახალგაზრდობის დიდი წარმატებით. ტურნირში გამარჯვებულებს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ოსტატები ე. გელერი და მ. ტაიმანოვი. აღსანიშნავია, რომ ტურნირში ყველაზე მეტი მოგება (10) აქვს გელერს, ხოლო ტაიმანოვმა, ისე, როგორც ბრონშტეინმა, წააგო მხოლოდ ერთი პარტია. პირველ ათეულში ხუთ დიდოსტატთან ერთად ხუთი ახალგაზრდა ოსტატი მოხვდა.

ტურნირმა ერთხელ კიდევ ცხადჰყო საბჭოთა საჭადრაკო სკოლის მაღალი კლასი.

საბჭოთა ტანმოვარჯიშენი ჩეხოსლოვაკიასა და ფინეთში

პრაღაში ჩატარდა ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნის სპორტულმა დელეგაციამ. მასში შედიოდნენ სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონები ტანვარჯიშში გ. ურბანოვიჩი და ლ. ტიმოშენკო, ტანმოვარჯიშეები ვ. ბელიაკოვა, სტუდენტთა ოლიმპიურ თამაშობებში გამარჯვებული გ. შაგინიანი, ვ. ლავრუშჩენკო და სხვ.

14 ნოემბერს პრაღაში მოეწყო საბჭოთა სპორტსმენების პირველი გამოსვლა, რომელსაც აურაცხელი ხალხი დაესწრო. მანამდე კი ჩვენი ქვეყნის ტანმოვარჯიშეებმა საჩვენებელი გამოსვლები ჩაატარეს ქალაქებში ლიბერეცსა და პლზენში. ყველა გამოსვლამ წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე.

• • •

მოსკოვი. (ჩვენი კორ.). ამ დღეებში ფინეთს გაემგზავრა საბჭოთა სპორტული დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ფინეთისა და საბჭოთა კავშირის კულტურის, მეგობრობისა და თანამშრომლობისადმი მიძღვნილ ერთთვიურში.

დელეგაციაში შედიან ჩვენი ქვეყნის ცნობილი ტანმოვარჯიშეები — სპორტის დამსახურებული ოსტატები ტ. კამენსკაია, ი. ჯორჯაძე და მ. კასიანიკი, სპორტის ოსტატები დ. ანტიპასი, კ. ორეშკინა, ს. პოდუზდოვა და სხვები.

ვადამდე შევასრულოთ რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურის განვითარების 1949 წლის გეგმა

— საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ასრულებენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილებას და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის მითითებებს, ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს ფიზიკური კულტურის განვითარების 1949 წლის გეგმის შესრულების საქმეში.

ამ დღეებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა განიხილა საკითხი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ ფიზიკური კულტურის განვითარების 1949 წლის გეგმის შესრულების შედეგების შესახებ მიმდინარე წლის 9 თვის მანძილზე.

პირველი ოქტომბრისათვის საქართველოში 5.426 ძირეული კოლექტივი იყო (102,6 პროც.), გეგმის გადამეტებით სპორტში ამჟამად ჩაბმულია 16.000 კაცი. ფიზკულტურელთა საერთო რაოდენობა რესპუბლიკაში შეადგენს 273 373 კაცს, ანუ შარშანდელთან შედარებით 27.402-ით მეტს.

სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების დავალება შესრულებულია: პირველ თანრიგში 72,8 პროცენტით, მეორე თანრიგში 76.9 პროცენტით, მესამე თანრიგში 88 პროცენტით და ჭაბუკთა თანრიგში — 125,3 პროცენტით. მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მშთ ნიშნოსანთა მომზადების საქმეშიც. სათანადო ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებას. 9 თვის მანძილზე მომზადებულია 5.000-მდე ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოს თავმჯდომარე, ფიზორგი, ინსტრუქტორი სპორტის სხვადასხვა სახეში და მსაჯები.

ფიზკულტურის განვითარების 1949 წლის გეგმის შესრულებაში დიდ წარმატებებს მიაღწიეს ქ. თბილისის (ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ფაჩულია), ქ. ქუთაისის (თავმჯდომარე ამხ. ჩოგოვაძე), აჭარის ასსრ (თავმჯდომარე ამხ. მჟავანაძე), ქუთაისის (თავმჯდომარე ამხ. კერესელიძე), ტყიბულის (თავმჯდომარე ამხ. ბერძენიშვილი), საგარეჯოს (თავმჯდომარე ამხ. გზირიშვილი), მახარაძის (თავმჯდომარე ამხ. ხმელიძე) და სხვა რაიონების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად მთელი რიგი რაიონების სპორტული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ ფიზიკური კულტურის განვითარების გეგმებს. კვლავინდებურად სუსტად მუშაობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი. ოლქში არ სრულდება ახალი ფიზკულტურული კოლექტივების ჩამოყალიბების, მშრომელთა ფიზკულტურაში ჩაბმის, მშთ ნიშნოსნებისა და სპორტსმენ-თანრიგოსნების მომზადების დავალება. მიმდინარე წელს ოლქში მშთ II საფეხურის არც ერთი ნიშნოსანი არ არის მომზადებული. არადამაკმაყოფილებლად ასრულებს გეგმას ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სამტრედიის რაიონული კომიტეტი. ამ საქმეში უპასუხისმგებლობას იჩენენ აგრეთვე ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა ახმეტისა და ადიგენის რაიონული კომიტეტები.

არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და საქართველოში ფიზიკური კულტურის განვითარების 1949 წლის გეგმის ვადამდე შესრულების მიზნით კომიტეტმა დასახა ვრცელი ღონისძიება.

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტებს და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საბჭოებს დაევალათ გაფართოებულ სხდომებსა და პრეზიდიუმზე განიხილონ საკითხი ფიზიკური კულტურის განვითარების გეგმის შესრულების შესახებ და მიიღონ ზომები გეგმის განუხრელად შესრულების უზრუნველსაყოფად; ფართო პოპულარიზაცია უყონ იმ კოლექტივების გამოცდილებას, რომლებიც წარმატებით ასრულებენ ფიზკულტურის განვითარების გეგმას. საქართველოს კოლმეურნეობათა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეულ კოლმეურნეობასთან მოეწყოს ფიზკულტურული კოლექტივი და ჩაბმულ იქნან სპორტულ მეცადინეობაში კოლმეურნეთა და სოფლის ინტელიგენციის ფართო მასები.

ფიზკულტურის კომიტეტებმა და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საბჭოებმა სტადიონებზე, მოედნებსა და დარბაზებში სისტემატურად უნდა ჩაატარონ მასობრივი შეჯიბრებები მძლეოსნურ მრავალჭიდში, ტანვარჯიშში, ძალოსნობაში, ფრენბურთსა და კალათბურთში და უზრუნველჰყონ მათში იმ ახალგაზრდების მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა, რომლებიც აბარებენ მშთ კომპლექსის ნორმებს.

ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მიუთითა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს (თავმჯდომარე ამხ. ალბოროვი) ფიზიკური კულტურის განვითარების გეგმის არადამაკმაყოფილებლად შესრულებისათვის. რესპუბლიკური კომიტეტის საორგანიზაციო-საინსპექტორო განყოფილებას დაევალა შეისწავლოს სამხრეთ ოსეთში გეგმის შესრულების ჩამორჩენის მიზეზები და საოლქო კომიტეტს გაუწიოს პრაქტიკული დახმარება.

ქ. რუსთავის მოსწავლე ახალგაზრდობა გატაცებით მეცადინეობს სპორტში. **სურათზე:** საქარხნო-საფაბრიკო სწავლების № 13 სკოლის აღსაზრდელთა დილის გამამხნევებელი ვარჯიში.

ფოტო კ. ყირმელაშვილისა

ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტში

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების 1949 წლის გეგმების შესრულებისათვის ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტმა საპატიო სიგელითა და ფულადი პრემიით დააჯილდოვა გორის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვ. ბეთლემიძე და ქუთაისის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გ. კერესელიძე.

* * *

სხვადასხვა შეჯიბრებაში ხანგრძლივი და დამოუკიდებელი სამსაჯო პრაქტიკისათვის ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტმა ამხ. ვ. კანდელაკს (თბილისი. „ქარიშხალა") მიანიჭა საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება ჩოგბურთში.

საშემოდგომო კროსი

ბათუმი. ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა პარკში ჩატარდა კროსი სხვადასხვა მანძილზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქის ფაბრიკა-ქარხნების, დაწესებულებების, სკოლებისა და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა ფიზკულტურული კოლექტივები.

• • •

სტალინირი. ამ დღეებში კოსტა ხეთაგუროვის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩატარდა მძლეოსანთა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდა 100-ზე მეტი სპორტსმენი სტუდენტი.

ნ. ზადიშვილი

დისკვალიფიკაცია დისციპლინის დარღვევისათვის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა განიხილა ფეხბურთში საქართველოს სსრ 1949 წლის თასის გათამაშების შედეგები. აღნიშნული იქნა, რომ რაიონული გუნდების თამაშის კლასის ამაღლებასთან ერთად შეჯიბრებამ გამოავლინა მთელი რიგი ნაკლოვანებები. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია არადამაკმაყოფილებელი პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა ზოგიერთი რაიონის (სამტრედია, ზესტაფონი და სხვ.) ფეხბურთელთა კოლექტივებში.

გათამაშების დროს ადგილი ჰქონდა უდისციპლინობისა და უხეშობის ცალკეულ შემთხვევებს. მაგალითად, სამტრედიის „დინამოს" და თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის გუნდების შეხვედრის დროს მოედანზე დაუშვებლად იქცეოდნენ სამტრედიელი ფეხბურთელები შენგელია და ახობაძე. შენგელიამ მატჩის დროს თავი მიარტყა მკერდში მოწინააღმდეგე გუნდის ერთ-ერთ მოთამაშეს, ხოლო ახობაძემ, რომელიც საერთოდ უხეშობით გამოირჩეოდა, მატჩის დამთავრების შემდეგ 26 კომისრის სახელობის რაიონის გუნდის წევრს სახეში მიარტყა თავი.

საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის დადგენილებით მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის გადაწყვეტილების საფუძველზე დისციპლინის უხეში დარღვევისათვის სამტრედიის „დინამოს" მოთამაშე შენგელია დისკვალიფიცირებულია 1949 წლის ბოლომდე, ხოლო ახობაძე — ორი წლის ვადით.

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სამტრედიის რაიონის კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. აბაშიძეს დაევალა მიიღოს გადამჭრელი ზომები რაიონის ფეხბურთელთა შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის გასაძლიერებლად.

მოკლე ცნობები

გორი. ჩატარდა რაიონული შეჯიბრება ყუმბარის ტყორცნაში, რომელშიც მონაწილეობდა 500-ზე მეტი ფიზკულტურელი.

გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს ნ. ბარათაშვილის სახელობის პედინსტიტუტის წარმომადგენლებმა. პირად შეჯიბრებაში ყველას აჯობა ძიძიგურმა (პედინსტიტუტი). მან ყუმბარა 61 მეტრსა და 50 სანტიმეტრზე ტყორცნა.

გ. ანიკაშვილი

• • •

თელავი. ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტში რეგულარულად ტარდება შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთში, ფეხბურთში, ტანვარჯიშსა და ქართულ ჭიდაობაში.

ა. დარიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის ოსტატის ტრიბუნა

დაცვა და მიშველება ტანვარჯიშში

ხშირად სხვადასხვა მიზეზის გამო მოვარჯიშე რამდენიმე ხნით წვრთნას თავს ანებებს. წვრთნის განახლებისას იმ ვარჯიშების განმეორება, რაც სპორტსმენის მიერ რეგულარულად მეცადინეობის დროს სრულდებოდა, წინასწარი მოსამზადებელი საწვრთნელი საათების გავლის გარეშე ყოვლად დაუშვებელია. გრძნობა იარაღებისადმი, რაც მოვარჯიშემ შესვენების დროს დროებით დაჰკარგა, აღდგენილი უნდა იქნეს.

მოვარჯიშის დაცვა არ განისაზღვრება მხოლოდ იარაღებზე მეცადინეობის დროს. წვრთნის დაწყებამდე წინასწარი მოსამზადებელი ვარჯიშების საშუალებით უნდა მოხდეს ორგანიზმის „გახურება", კუნთებისა და სახსრების შეგუება ფიზიკური დატვირთვისადმი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაჯის სახსრებისა და მენჯის ბარძაყის სახსრების წინასწარი გავარჯიშება, ურომლისოდ მოსალოდნელია ხანგრძლივი ტკივილები ამ ადგილებში. ორგანიზმის წინასწარი მომზადება შეთანხმებული უნდა იყოს იარაღებზე ფიზიკურ დატვირთვასთან. მაგალითად, თუ წვრთნის პირველ იარაღად რგოლები ან ძელია, წინასწარი ვარჯიშით უნდა მომზადდეს მხრის სახსარი და ა. შ. ამის უგულვებელყოფას ხშირად სპორტსმენი წლობით გამოჰყავს მწყობრიდან.

ცუდი სამედიცინო კონტროლის შედეგად ხშირად ფიზიკურად სუსტს, სიცხიანს, არასავსებით განკურნებულს უშვებენ მეცადინეობაზე. შედეგი მეტად სავალალოა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამედიცინო დაკვირვებას თვით წვრთნის პროცესში. გულისა და ნერვული სისტემის მუშაობა ნათელჰყოფს მოვარჯიშის ფიზიკურ მდგომარეობას.

მედიცინის წარმომადგენლებს, რომლებიც უშუალოდ სპორტსმენის შესწავლით არიან დაინტერესებულნი, დიდ დახმარებას გაუწევს მოვარჯიშე თვითკონტროლის საშუალებით (წონის ცვალებადობა, თავბრუდახვევა, სწრაფი დაღლა, ფერმკრთალობა). სპორტსმენმა უნდა იგრძნოს ორგანიზმში მომხდარი ოდნავი ცვლილებაც კი და ამის მიზეზი მედიცინის საშუალებით სასწრაფოდ გამოარკვიოს.

მომხდარი ხიფათის დროს (ამოვარდნილობა, მოტეხილობა, ღია ჭრილობა განსაკუთრებით ხელის გულებზე კოჟრების აგლეჯისას) დიდი მნიშვნელობა აქვს სასწრაფო დახმარებას.

მოვარჯიშეთა შორის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა საგრძნობლად შეამცირებს უბედურ შემთხვევათა რიცხვს მეცადინეობის დროს.

უდისციპლინობის შედეგია ვარჯიში იარაღებზე ულეიბოდ. შიშველ იატაკზე მოვარჯიშის დაცემას შეუძლია გამოიწვიოს კიდურების, თავის, ხერხემლის და სხვ. დაზიანება.

იარაღების ალაგების დროს ილეთების შესრულების ცდა, მეცადინეობის დამთავრების შემდეგ იარაღების ალაგების დროს ვარჯიში უსისტემოდ, სიჩქარე, დაჯახება შემსრულებელსა და ამლაგებელს შორის, ყოველივე ეს მოვარჯიშის ჩამოვარდნის მიზეზია.

თ. სანებლიძე,
სპორტის ოსტატი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. გაზ. „ლელო" № 20.

კომკავშირელთა ინიციატივით

ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კომკავშირის ორგანიზაციის ინიციატივით მოსწავლეთა მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა წამოიწყო სპორტული დარბაზის მშენებლობა.

მოკლე დროის განმავლობაში ტექნიკუმის დირექტორის ამხ. ვ. ჯაფარიძის აქტიური დახმარებით მოზიდულ იქნა მშენებლობისათვის საჭირო მასალა. სამი თვის დაძაბული მუშაობის შედეგად აქ მოეწყო სპორტული დარბაზი, რომელიც უზრუნველყოფილია აუცილებელი ინვენტარით.

ახლოვდება ზამთარი. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზკულტურელები მომზადებული ხვდებიან მას. ზამთრის პერიოდში ისინი ახალ კეთილმოწყობილ სასპორტო დარბაზში ჩაატარებენ სასწავლო-საწვრთნელ მუშაობას.

კ. ფოცხვერაშვილი

ზესტაფონი



სოხუმში მშვენიერი ამინდებია. ქალაქის ღია სპორტულ მოედნებზე გრძელდება ამხანაგური შეხვედრები და საწვრთნელი ვარჯიში ფრენბურთში. **სურათზე:** სოხუმელ ფრენბურთელთა ამხანაგური შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფეხბურთი

ჩემპიონები

ლანჩხუთი. ათ დღეს გრძელდებოდა შეჯიბრება რაიონის პირველობაზე ფეხბურთში. წელს მეორედ მოიპოვა რაიონის ჩემპიონის სახელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გუნდმა.

გ. რუსიძე

* * *

სტალინირი. რამდენიმე დღეს გრძელდებოდა შეჯიბრება ფეხბურთში ქალაქის 1949 წლის პირველობაზე. ჩემპიონის სახელი მოიპოვა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდმა.

ვ მელქოიყვი

ჩვენ გვწერენ

მუშაობა ჩაშლილია

ქობულეთის რაიონის ჭახათისა და ქაქუთის სასოფლო საბჭოებში შემავალ კოლმეურნეობებსა და სკოლებში ჩაშლილია მასობრივი ფიზკულტურული მუშაობა. მიმდინარე წელს აქ არც ერთი თანრიგოსანი და ნიშნოსანი არ მოუმზადებიათ, არავინ ზრუნავს სპორტული მოედნების მოწყობაზე. საზამთრო სპორტული სეზონისათვის მზადებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები არავითარ ღონისძიებას არ იღებენ ახალგაზრდობის ფართო ფენებში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გასაშლელად, ხოლო ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის მუშაკები აღნიშნულ კოლმეურნეობებსა და სკოლებში მისვლას ზედმეტ საქმედ თვლიან.

როდემდის გაგრძელდება ასე?

ს. პარკაძე

ქობულეთი

საჭიროა ბურთები

აჭარის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმეს. რესპუბლიკაში მიმდინარე წელს მოეწყო კალათბურთის და ფრენბურთის მრავალი მოედანი, მაგრამ ძირეული ფიზკულტურის კოლექტივები ბურთების დიდ ნაკლებობას განიცდიან.

საჭიროა დროულად მიექცეს ყურადღება ამ საკითხს. „დინამოს" მაღაზიამ და სხვა სავაჭრო ორგანიზაციებმა მეტი რაოდენობით უნდა შემოზიდონ ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთისათვის საჭირო ინვენტარი, რომელსაც დიდი მოთხოვნილება აქვს აჭარაში.

შ. ბაჯელიძე

ბათუმი

მოსწავლეები აშენებენ მოედნებს

ზუგდიდის რაიონის სკოლებში ფართო მუშაობაა გაშლილი მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის. ამ საქმეში დაწინაურდნენ ქალაქის ქალთა და ვაჟთა, სოფელ კოცხელისა და ჭითაწყარის საშუალო სკოლების მოსწავლეები. მათ ძირითადად უკვე დაამთავრეს მშენებლობა.

ვ. ჩაჩიბაია

ზუგდიდი



თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ველოსტადიონზე სისტემატურად მეცადინეობენ ქალაქის ველოსიპედისტები. ისინი დღითი დღე იმაღლებენ თავიანთ ოსტატობას და ახალ წარმატებებს აღწევენ. ამას წინათ სპორტის ოსტატმა ვ. სტეპანოვმა სალიდერო მარულაში (ლიდერი — სპორტის ოსტატი გ. ლეჟავა) 25 კილომეტრზე უჩვენა 25 წუთი და 51,8 წამი, რითაც ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა. **სურათზე:** სალიდერო მარულის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო კ. ყირმელაშვილისა

მძლეოსნობა

„თბილისის თასი" და პროფკავშირთა პირველობა

უკანასკნელი დღეები აღინიშნა მძლეოსანთა ორი მასობრივი შეჯიბრებით: „დინამოს" სტადიონზე ჩატარდა „თბილისის თასის" მეორე (საშემოდგომო) ტური და ჩვენი რესპუბლიკის პროფკავშირების სასპორტო საზოგადოებათა პირველობა.

მიმდინარე წლის ზაფხულში თასზე ჩატარებულმა პირველმა ტურმა გამოავლინა „დინამოს" მძლეოსანთა უპირატესობა, რომლებმაც თავიანთი წარმატება განამტკიცეს შემოდგომის შეჯიბრებებში და მეორე წელია ზედიზედ მოიპოვეს საპატიო ჯილდო.

თუმცა პირველობა მთელი რიგი რესპუბლიკური რეკორდებით აღინიშნა (მ. კლემენტიევმა 3.000 მეტრი გაიარა 15:01,4; ვ. გრეჩკომ 5.000 და 10.000 მეტრი შესაბამისად — 25:38,8 და 52:33,0; ი. უშაკოვმა ერთსაათიან რბენაში აჩვენა 17 კლმ. და 541 მეტრი), მაგრამ უნდა ითქვას, რომ მონაწილეთა საერთო მომზადება მეტად დაბალ დონეზე იდგა. ტექნიკური შედეგების 60 პროცენტზე მეტი თანრიგოსანთა ნორმებზე დაბალია.

განა დასაშვებია საქალაქო ტურნირში (და ისიც თბილისში!) მონაწილეობდნენ ისეთი მძლეოსნები, რომლებსაც არ შეუძლიათ 100 მეტრის გავლა 16 წამზე სწრაფად, ან და ისეთი ფიზკულტურელები, რომლებსაც ბადროს ტყორცნა არ შეუძლიათ 13-14 მეტრზე?!

მძლეოსანთა შეჯიბრებაში წლითი წლობით ვხედავთ ერთი და იგივე საზოგადოების წარმომადგენლებს. სად არიან „ქარაშხალას", „შრომითი რეზერვების", „სპარტაკის", „ლოკომოტივის" სექციების წარმომადგენლები?

ისინი არ მონაწილეობდნენ არც პროფკავშირების საუწყებათაშორისო პირველობაში, რომელიც ასევე მკრთალად ჩატარდა. ჩათვლის გარეშე მონაწილე ცენტრალური საბავშვო სპორტული სკოლის მხოლოდ ორმა მოსწავლე გოგონამ შეძლო გაეუმჯობესებია რესპუბლიკური მიღწევები: ცაალა თეთრაძემ 80 მეტრზე თარჯრბენში უჩვენა 13.4 (უმცროსი ასაკი) და კ. ხაჩატუროვამ — 500 მეტრზე რბენაში—1:25.5 (უფროსი ასაკი) გუნდური პირველობა მოიგეს „ბოლშევიკის" მძლეოსნებმა. ამ საზოგადოების სპორტულ ღირსებას იცავდნენ ფიზკულტურის ტექნიკუმისა და ინსტიტუტის სტუდენტები.

სპორტის მასობრივობისათვის ბრძოლისას ნებაყოფლობით საზოგადოებებსა და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათ უმნიშვნელოვანეს ამოცანას აგრეთვე შეადგენს ცალკეული სპორტსმენის ოსტატობის ამაღლება.

გ. არტემიძე

★ ★ ★

თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე წელს ჩვენი ქვეყნის ბევრმა მოწინავე სპორტსმენმა გაიარა საწვრთნელი ვარჯიში, რის შედეგად გააუმჯობესა საკავშირო რეკორდები. ამათგან ბევრი მსოფლიო რეკორდს აღემატება. **სურათზე:** საკავშირო რეკორდსმენი ქალიშვილებს შორის გ. ზიბინა (ლენინგრადი) ვარჯიშობს ბადროს ტყორცნაში.

ფოტო კ. ყუფარაძისა

სპორტის ისტორიიდან

ორი რეკორდი

პირველი მსოფლიო რეკორდი უროს ტყორცნაში ეკუთვნოდა ინგლისელ რ. ჯემსს, რომლის შედეგი —24 მეტრი და 50 სანტიმეტრი — ძალზე მცირე იყო. 1866 წლიდან 1937 წლამდე რეკორდების ცხრილში მხოლოდ ინგლისელთა და ამერიკელთა გვარები გვხვდებოდა (ფლანაგანი, მაკ-გრატი და სხვ.).

1913 წელს სტოკჰოლმში ჩატარებულ შეჯიბრებებზე პატ რიანმა (ამერიკა) ურო 57 მეტრსა და 77 სანტიმეტრზე სტყორცნა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ამერიკელის ამ მიღწევის გაუმჯობესებას 25 წელი დაჭირდა, როდესაც ორმა გერმანელმა—ბლასკიმ და ხეინმა უკეთესი შედეგი უჩვენეს. პირველმა 1938 წელს ურო სტყორცნა 59 მეტრზე და ამ რეკორდისათვის დიდხანს არავის გადაუჭარბებია.

ამ დროს საბჭოთა უროს მტყორცნელები, იმაღლებდნენ რა ოსტატობას, სულ უფრო და უფრო აუმჯობესებდნენ თავიანთ მიღწევებს. იმ წლებში საკავშირო რეკორდის დასამყარებლად ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ლენინგრადელი ალექსანდრე შეხტელი და აშხაბადელი სერგეი ლიახოვი. ამ ორთაბრძოლაში შემდეგ ჩაერია ესტონელი სპორტსმენი — ბრწყინვალე მოჭიდავე იოჰანეს კოტკასი. ლიახოვის მიღწევას (53,08) 1943 წელს გადააჭარბა კოტკასმა და მისი გვარის გვერდით გაჩნდა ციფრი—53 მეტრი და 88 სანტიმეტრი. მაგრამ დაუცხრომელმა ლენინგრადელმა ა. შეხტელმა ფარხმალი არ დაჰყარა და 1946 წლის რეკორდმა (54,91) ლენინგრადში გადმოინაცვლა.

მაგრამ აი, უკრაინის სტადიონებზე გამოჩნდა ალექსანდრე კანაკი— პირველი კლასის თარჯმრბენი და ბადროს მტყორცნელი. კანაკმა შეიცვალა თავისი სპორტული სპეციალობა და იგი უროს ტყორცნას დაეწაფა. შეიყვარა რა ეს მძიმე „ჭურვი", კანაკმა შესანიშნავ შედეგებს მიაღწია. 1948 წელს მან შეხტელს ჩემპიონისა და რეკორდსმენის ტიტული ჩამოართვა. საკავშირო რეკორდების ცხრილში კიეველის მიღწევა—56,13 მეტრი შევიდა.

ამ დროს სახალხო დემოკრატიული უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტის „ვაშაშის" კლუბში გამოჩნდა იმრე ნემეტი. ნემეტმა საოცრად მოკლე დროში აალაპარაკა სპორტული მსოფლიო. დიდების მწვერვალს საუკეთესო სპორტსმენმა ლონდონის 1948 წლის ოლიმპიადაზე მიაღწია, როცა მან თავის სამშობლოს ოქროს მედალი და მსოფლიო რეკორდი—59,02 მეტრი მოუპოვა.

ა. კანაკისა და ი. ნემეტის სახელებს ახლა დიდი ადგილები უკავიათ ევროპისა და ამერიკის სპორტულ პრესაში.

ორი მეგობრული ქვეყნის — საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის წარმომადგენლები „დაუსწრებელ" ბრძოლას აწარმოებენ ჰეგემონიისათვის მძლეოსნური სპორტის ამ რთულ სახეში.

1949 წლის სეზონმა უძლიერეს უროს მტყორცნელებს განსაკუთრებული წარმატება მოუტანა. კანაკმა სამჯერ გააუმჯობესა საკავშირო რეკორდი—56,15: 57,86 და 58,59; ნემეტმა აჩვენა — 57,31; 58,06 და ბოლოს დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი—59 მეტრი და 57 სანტიმეტრი.

მიმდინარე სეზონში მთელს მსოფლიოში ამ თვალსაჩინო შედეგებს ახლოსაც არავინ მიჰკარებია. ამიტომაა, რომ სპორტული სამყარო ასე მოუთმენლად მოელის ერთ მინდორზე ამ ორი ფენომენალური მტყორცნელის შეხვედრას.

ს. ტიხონოვი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ფიზკულტურა ჩვენს ქვეყანაში

1. ჩრდილოეთ ურალში, ქ. კარპინსკის რაიონში დიდი ხანია თოვლი ძევს. კარპინსკის ქვანახშირის საბადოების ათასობით მაღაროელი ფიზკულტურელი სისტემატურად მეცადინეობს სათხილამურო სპორტში. **სურათზე:** (ზევით) ნებაყოფლობითი საზოგადოება „შახტიორის“ წევრები ტრესტ „ვახრუშევუგოლის“ მაღაროელები ა. სერგეევი, ქ. ივანოვი და ა. კურილო იხილამურებით სეირნობის დროს.

2. სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე კრივში, რომელიც ამას წინათ მოსკოვში ჩატარდა, დიდ წარმატებას მიაღწია ახალგაზრდა ნიჭიერმა მოკრივემ ა. ბულაკოვმა (მოსკოვი). მან ბრწყინვალედ ჩაატარა ყველა მატჩი, საფინალო შეხვედრაში ნოკდაუნი გაუკეთა ლატვიის ჩემპიონს გ. მოროზოვს და დამსახურებულად მოიპოვა „დინამოს“ ჩემპიონის წოდება მჩატე წონაში. **სურათზე:** (ქვევით) ა. ბულაკოვი და გ. მოროზოვი რინგზე.

ფოტო პ. ბოტენევისა (საკდესი) და ვ. სემიანოვისა

ცამეტი წლის ბიჭმა მოკლა ორი დათვი

ანადირი, 19 ნოემბერი. (საკდესი). ამას წინათ რენაუტაგინის სადგომში, როცა მთელი მოზრდილი მოსახლეობა წასული იყო ირემთა ჯოგის მოსავლელად, შევიდა ორი თეთრი დათვი. ერთ-ერთ იარანგაში დარჩენილი ცამეტი წლის ბიჭი ულიუ არ დაიბნა. მან აიღო თოფი, დაუხვდა ნადირთ და ზუსტი სროლით ორივე იქვე მოკლა.

ერევანი—გორი—ერევანი

18 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა ველოგადარბენის მონაწილე ერევნის მოლოტოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფი. ქალაქგარეთ მათ შეხვდნენ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

მეორე დღეს ველოგადარბენის მონაწილენი ჩავიდნენ გორში. მათ დაათვალიერეს სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა დიდმა სტალინმა, აგრეთვე სხვა ისტორიული ადგილები.

21 ნოემბერს სტუდენტი სპორტსმენები დაბრუნდნენ თბილისში. ისინი გაეცნენ ჩვენი დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს, დაესწრნენ საქართველოს პირველობას ტანვარჯიშში და 23 ნოემბერს განაგრძეს გზა მშობლიური ქალაქისაკენ.

გადარბენაში მონაწილეობს 15 სტუდენტი, რომლებმაც საბჭოთა მარკის მანქანებით მთაგორიან გზებზე უავარიოდ გაიარეს 500-ზე მეტი კილომეტრი.

გადარბენას ხელმძღვანელობს ერევნის უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე სპორტის ოსტატი ო. ავაქიანი.

* * *

კოლმეურნეთა მიღწევები

ამას წინათ ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდა ბათუმის რაიონის სოფლის ახალგაზრდობის პირველი სპარტაკიადა, რომელშიც 100-მდე კოლმეურნე სპორტსმენი მონაწილეობდა.

შეჯიბრება ცხოველი ინტერესით ჩატარდა და კარგი შედეგებითაც აღინიშნა. სუბტროპიკული ტექნიკუმის მოსწავლემ ო. მურადაშვილმა 100 მეტრი 12,9 წამში დაფარა.

5.000 მეტრზე რბენაში წარმატება მოიპოვა მ. ბოლქვაძემ (ლენინის სახელობის კოლმეურნეობა), რომელმაც მანძილი 19 წუთსა და 19,5 წამში გაირბინა.

სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში, ბადროს ტყორცნაში და ბირთვის კვრაში ყველა პირველი ადგილი სუბტროპიკული ტექნიკუმის ფიზკულტურელებმა დაიკავეს. საერთო გუნდური პირველობაც მათ მიეკუთვნათ. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მძლეოსნები, მესამეზე—კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ წარმომადგენლები.

ხ. პავლიაშვილი

ჭადრაკი

ფიგურათა შეთანხმებული მოქმედება



თეთრები—კოტოვი,
შავები—რაგოზინი.
(საბჭოთა კავშირის XVII პირველობა; XI ტური)
თეთრების სვლა.

კოტოვის უპირატესობა მდგომარეობს შემდეგში: მას ზედმეტი პაიკი აქვს, მის მხედარს, კუს და ეტლებს საუკეთესო აქტიური პოზიცია უკავიათ, ყველა ისინი შეთანხმებულად მოქმედებენ c6 საკვანძო პუნქტის ირგვლივ.

უარყოფითი მხარე თეთრების პოზიციისა არის b6—უჯრედზე მდგარი ლაზიერის პოზიცია, მაგრამ ეს ყოველივე დროებითია.

პირიქით, შავების ფიგურები b8 ეტლის გამონაკლისით დატვირთული არიან მხოლოდ თავდაცვითი ფუნქციებით, ასე, მაგალითად, გადატვირთულია c6—მხედარი, ის იცავს b8—ეტლს. ფარავს c7—ეტლს და d6—ლაზიერს, c7 ეტლი იცავს საკუთარ მხედარს და ამავე დროს ხელს უშლი შავ ლაზიერს დაეხმაროს მხედარ b8—ეტლის დაცვაში. თვალსაჩინო აგრეთვე e8 კუს პასიური პოზიცია. ყოველივე ამით აიხსნება დიდოსტატ კოტოვის შემდეგი გამარჯვება:

1. ლb6 : b8! მc6 : b8
2. ეc3 : c7! ლd6 : a3

(რამდენიმედ უმჯობესი იყო : 2. ... მb8—d7!)

3. კd3 : g6! მb8—c6
4. ეc1 : c6 . . .

(არ შეიძლებოდა ამ მხედრის აღება მეორე ეტლით)

4. . . . კe8 : c6
5. ეc7 : f7+ მფg7—h6

(h8 უჯრედზე არ შეეძლოთ შავებს მეფით გადასვლა, რადგან თეთრები ითამაშებდნენ : 6.კh7 და შემდეგ მფ6

6. f2—f4 . . .

(რაგოზინის მეფე საშამათო ქსელში მოექცა)

6. . . . ლa3 : e3+

(ეგრეთწოდებული „სასოწარკვეთილებით ქიში“)

7. მფg1—h2 . . .

(თეთრები იმუქრებიან შამათით g და h7 უჯრედებიდან, ორივესაგა თავდაცვა შეუძლებელია)

7. . . . ლe3 : e5
8. f4 : e5 რაგოზინი დანებდ

ნახევარფინალური ტურნირები

ამ დღეებში თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დამთავრდა საქართველოს 1950 წლის საჭადრაკო ჩემპიონატის ორი ნახევარფინალური ტურნირი.

პირველ ჯგუფში გაიმარჯვა ოსტატობის კანდიდატმა თ. გიორგაძემ, რომელმაც 11 ქულა მოაგროვა. მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს პირველთანრიგოსნებმა ნ. ტიმოფეევმა და შ. ფრუიძემ.

მეორე ჯგუფში პირველი, მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატმა ა. ბუსლაევმა, პირველთანრიგოსნებმა ი. კრიხელმა და გ. არნშტეინმა, რომლებმაც 10,5 ქულა მოაგროვეს თვითეულმა.

* * *

მოჭადრაკეთა წრე

ზუგდიდი. ქალაქის კულტურის სახლთან ჩამოყალიბდა მოჭადრაკეთა წრე. სასწავლო-საწვრთნელი მუშაობისათვის გამოყოფილია ოთახი, შეძენილია საჭირო ინვენტარი და სხვ.

◆

ორი თასის „შეხვედრა“

სსრ კავშირის თასი კალათბურთში წელს თბილისელმა სპორტსმენებმა მოიგეს.



ფეხბურთის თასი (კალათბურთის თასს): — მოსალოცი ამბავია, ძმობილო! წელს დაიბადე და მოსკოვიდან ასე შორს წახვედი. მე ვბერდები და მაინც არ მღირსა საქართველოს ნახვა!

ნახატი გ. ფირცხალავასი

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ გაზეთ „ლელო საშუალებით გამოვუცხადოთ ჩვე გულწრფელი მადლობა ყველა ო ორგანიზაციასა და ცალკე პირებ რომელთაც მოულოცეს თბილის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა კოლექ ტივს მეორე ჯგუფის ოსტატ ფე ბურთელთა გუნდების საკავშირ შეჯიბრებაში გამარჯვება.

ა. ჟორდანია,
გუნდის უფროსი მწვრთნელი.

ა. პაიჭაძე,
გუნდის კაპიტანი.

პასუხისმგებელი რედაქტორ
მ. კაკაბაძე

ბურჟუაზიული სპორტის ზნეჩვეულებანი

ფეხბურთის „შავ ბაზარზე“

საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში, შვეციაში, ნორვეგიაში, ბელგიაში, ჰოლანდიასა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში გაჩაღებულია საფეხბურთო სეზონი.

ისე, როგორც წინა წლებში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში წლევანდელ სეზონს წინ უძღოდა დიდი გამოცოცხლება ფეხბურთის „შავ ბაზარზე“.

მოთამაშეთა ყიდვა-გაყიდვამ არაჩვეულებრივი გასაქანი ჰპოვა მარშალიზებულ საფრანგეთში. აქ ბურჟუაზიული სპორტის საქმოსნები განსაკუთრებით დიდი მასშტაბებით აწარმოებენ ფეხბურთის „ვარსკვლავთა“ იმპორტსა და ექსპორტს.

სენსაციებით გატაცებული ფრანგული სპორტული გაზეთების ფურცლები აჭრელებულია საფეხბურთო ბაზრის ავ-კარგის აღწერით: „რეიმსმა“ იყიდა ვიღაც აპელი ჰოლანდიიდან, „მილანმა“ შეიძინა ისლანდიელი ჰუდჯანსონი. მაგრამ ფულის მოგების მიზნით იგი მაშინვე მიჰყიდა პარიზის „რესინგს“, „რენის“ გუნდმა უსახსრობის გამო შეიძინა რომელიღაც უცნობი ინგლისელი მესამე ჯგუფის გუნდიდან. სამაგიეროდ „სტად ფრანსემ“, რომელსაც საკმაო თანხები მოეპოვება, არ დაკმაყოფილდა ევროპული „საქონლით“ და ორი მოთამაშე სამხრეთ ამერიკიდან გამოიწერა.

მოთამაშეებით ვაჭრობა სეზონის წინ დღითი-დღე ფართოვდებოდა. ცხადია, რომ იზრდებოდა ფასებიც. მაგალითად, თუ „ლესის“ ფეხბურთელი კასტელანი „სენტ ეტიენს“ 1 მილიონ 800 ათას ფრანკად მიჰყიდეს, „მარსელის“ თავდამსხმელი დანგიონი „ტულუზას“ დაუთმეს უკვე 2,5 მილიონ ფრანკად, ხოლო „ნიცის“ მეკარე ფაბრი „ნანსმა“ 4 მილიონ ფრანკად შეისყიდა.

გაყიდიან რა ერთ მოთამაშეს, ბურჟუაზიული სპორტული კლუბები ყიდულობენ მეორეს.

უფრო დიდ თანხებს ხარჯავენ ინგლისის ფეხბურთის საქმოსნები. აქ, როგორც იტყობინება საფრანგეთის რადიო, მესამე ჯგუფიდან მეორეში გადასული გუნდის „ჰარლეის“ მესვეურებმა 30 მილიონ ფრანკად იყიდეს საერთაშორისო კლასის მოთამაშე ფრანკლინი „სტოკ სიტიდან“.

ფეხბურთის „შავი ბაზრის“ ზნეჩვეულებანი უდაოდ ღაღადებენ ბურჟუაზიული სპორტის მზარდ გახრწნას. მარშალიზებული ევროპის საფეხბურთო მოედნებზე ბატონობს მოგების არნახული წყურვილი.

უმუშევარი მწვრთნელის მემუარები

ლონდონის ერთ-ერთ სტადიონზე დგას „არსენალის“ ყოფილი მწვრთნელის ჰერბერტ შაპმანის ძეგლი, მწვრთნელისა, რომლის შრომამ თითქოს ხელი შეუწყო „არსენალის“ ინგლისის საუკეთესო გუნდების რიცხვში მოხვედრას.

იქაური სპორტული გაზეთები ძალიან ხშირად მოწიწებით იგონებენ ამ ამბავს: შეხედეთ, აი ადამიანი, რომელიც იბრძოდა ინგლისის პროფესიულ ფეხბურთის სადიდებლად... და ინგლისი მას არ ივიწყებს!

შაპმანის კოლეგა „ჰოტენჰამის“ გუნდის მწვრთნელი ჯო ჰულმიც ალბად ოცნებობდა დაემსახურებია ძეგლის მაგვარი რამ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, იგი სამუშაოდან დაითხოვეს. უმუშევარმა მწვრთნელმა ამას წინათ გამოაქვეყნა თავისი მემუარები, რომლებშიც იგი ამხელს ინგლისის ფეხბურთის ნამდვილ მდგომარეობას.

„მწვრთნელთა დიდი ნაწილი — წერს ჰულმი, — წარმოადგენს სპორტული კლუბების მეპატრონეთა მარიონეტებს. მწვრთნელი სჭირდებათ იმისათვის, რომ მან... პასუხი აგოს გუნდის წაგებისათვის. საფეხბურთო კლუბების მეპატრონენი, როგორც წესი, ვერ ერკვევიან თამაშში. სამაგიეროდ მათ ჯიბეში აქვთ საჩეკო წიგნაკი და გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით ყველა საკითხის, მათ შორის გუნდის შემადგენლობის შერჩევის, საწვრთნელი ვარჯიშების ცხრილის შედგენისა და სხვა დროს“.

ეს მემუარები აშკარად მეტყველებენ ინგლისში სპორტის დეგრადაციას.

ე. თეთრაძე

პარასკევს, 2 დეკემბერს, საქართველოს ა. ბ. ჯაფარიძის სახელობის ალპიური კლუბის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. № 43) შედგება დოცენტ ლევან მარუაშვილის მოხსენება თემაზე: „მწვერვალებისა და უღელტეხილების სპორტული კლასიფიკაციის ახალი პრინციპები“. თანამომხსენებელი — ქ. ასტახიშვილისა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მიიღება ხელისმოწერა გაზეთ
„ლელოზე“
1950 წლისათვის
გაზეთ „ლელოს“ ფასი
1 თვით—1 მან. და 30 კაპ.
3 თვით—3 მან. და 90 კაპ.
6 თვით—7 მან. და 80 კაპ.
1 წლით—15 მან. და 60 კაპ.
ხელისმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის“ ყველა განყოფილებასა და სააგენტოში.
„საქსოიუზპეჩატი“

გაზეთი გამოდის პარასკეობით
რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯაფარიძის ქ. № 4.
ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტირაჟი 15.000
უე 05988